განმარტებითი ბარათი

„ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების შესახებ“

ა) ზოგადი ინფორმაცია დადგენილების შესახებ:

ა.ა) დადგენილების მიღების მიზეზი:

დადგენილება მომზადებულია საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 91-ე მუხლის 1-ლი პუნქტისა და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 77-ე მუხლის მე-7 და მე-10 პუნქტების შესაბამისად და განსაზღვრავს 2026 წლის განმავლობაში მისაღები შემოსულობებისა და გასაწევი გადასახდელების მაჩვენებლებს.

ა.ა.ა) პრობლემა რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს დადგენილება:

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებულ, მუნიციპალიტეტის ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობას.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად დადგენილების მიღების აუცილებლობა:

საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ მომზადება და მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ განხილვა და დამტკიცება ხორციელდება ყოველწლიურად.

ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები დამოკიდებულია საქართველოში არსებულ მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მაკროეკონომიკური პარამეტრების ზღვრების დასაცავად განსახორციელებელ ღონისძიებებსა და შეზღუდვებზე.

ბიუჯეტის პარამეტრები

საგადასახადო შემოსავლები

საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები შესაბამისობაშია საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 77-ე მუხლის მე- 6 და მე-6[1] პუნქტების გათვალისწინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან მიღებულ საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლებთნ.

2026 წლის პროგნოზით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები ნომინალურ გამოხატულებაში 23,299.6 ათას ლარს შეადგენს. 2025 წლის დამტკიცებულ გეგმიურ მაჩვენებელთან(19,400.0 ათასი ლარი) შედარებით 2026 წლის საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი იზრდება 3,899.6 ათასი ლარით (20.1%-ით იზრდება).

2026 წელს საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია:

- **დამატებული ღირებულების** გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 18,799.6 ათასი ლარით;

  2025 წლის დამტკიცებულ გეგმიურ მაჩვენებელთან(15,000.0 ათასი ლარი) შედარებით დღგ გაზრდილია 25.3 %-ით (3,799.6 ათასი ლარით).

- **ქონების** გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 4 500,0 ათას ლარს;

  2025 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან(4 400.0 ათასი ლარი) შედარებით ქონების გადასახადი 2.3%-ით (100.0 ათასი ლარით) იზრდება.

2026 წელს არასაგადასახადო შემოსავლების პროგნოზი სახეების მიხედვით შემდეგია:

- **სხვა შემოსავლები განსაზღვრულია 745.4 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:**

  - ✓ **შემოსავლები საკუთრებიდან - 400.0 ათასი ლარი.** 2025 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან (380.0 ათასი ლარი) შედარებით 2026 წელს შემოსავლები საკუთრებიდან 20.0 ათასი ლარით(5.3% -ით) მეტია, აქედან

  - ✓ პროცენტები 200.0 ათასი ლარი. 2025 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან (200.0 ათასი ლარი) შედარებით პროცენტები არ შეიცვლება.

  - ✓ რენტა 200.0 ათასი ლარი; 2025 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან(180,0 ათასი ლარით) შედარებით რენტა 20.0 ათასი ლარით(11.1% -ით) იზრდება.

- **შემოსავლები საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან განსაზღვრულია 112.4 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის;**

  - ✓ სანებართვო მოსაკრებლები 15,0 ათასი ლარი; 2025 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან(15,0 ათასი ლარით) შედარებით სანებართვო მოსაკრებელი არ შეიცვალა.

  - ✓ ადგილობრივი მოსაკრებელი დასახელებული ტერიტორიების დასუფთავებისათვის 80.0 ათასი ლარი; 2025 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან (80.0 ათასი ლარით) შედარებით არ შეიცვალა.

  - ✓ არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება 10.0 ათასი ლარი; 2025 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან (8.0 ათასი ლარით) შედარებით 2.0 ათასი ლარით(25% -ით) იზრდება. .

  - ✓ **შემოსავლები სანქციები, ჯარიმები და საურავებიდან განსაზღვრულია 240.4 ათასი ლარის ოდენობით,2025 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან (228.8 ათასი ლარით) შედარებით პროცენტები 5.1%-ით (11.6 ათასი ლარით)იზრდება.**

- **გრანტების (მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად)** სახით დაგეგმილი მაჩვენებლები განისაზღვრება 220.0 ათასი ლარამდე, მათ შორის:

    - მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად - 220.0 ათასი ლარი, რაც 2025 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან (190.9 ათასი ლარ) შედარებით 15.2%-ით (29.1 ათასი ლარით) იზრდება. აღნიშნული ტრანსფერი გამოყოფილია საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრის დაფინანსებისათვის.

- **არაფინანსური აქტივების კლების** სახით მისაღები თანხების გეგმა 2026 წლისათვის შეადგენს 30,0 ათას ლარს;

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელები

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების მოცულობა 2026 წელს შეადგენს 24,295.0 ათას ლარს , 2025 წლის დამტკიცებულ გეგმასთან (20,320.0 ათასი ლარი) შედარებით 3,975.0 ათასი ლარით (19.6%) იზრდება .

პრიორიტეტების მიხედვით გათვალისწინებულია:

- **ინფრასტრუქტურის განვითარება - 10,848.2 ათასი ლარი; მათ შორის:**
    - ✓ **საგზაო ინფრასტრუქტურის** განვითარება - 6,123.8 ათასი ლარი;

      განხორციელედება შემდეგი სამუშაოები;

- ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელ ეშტიის შიდა გზების მოასფალტება - 987.0 ათასი ლარი
- სოფ. განძის შიდა გზების რეაბილიტაცია - 778.6 ათასი ლარი
- სოფ გორელოვკის შიდა გზების მოასფალტება - 1,055.0 ათასი ლარი
- ცენტრალური ტრასა - ტამბოვკა გზის მოასფალტება - 152.3 ათასი ლარი
- ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფ. დილიფში შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია - 27.9 ათასი ლარი
- ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფ დიდ ხანჩალში შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია -18.1 ათასი ლარი
- ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელი როდიონოვკის შიდა გზების რეაბილიტაცია - 22.4 ათასი ლარი
- საექსპერტიზო მომსახურება(02 01 01) – 413.6 ათასი ლარი
- გზების მოვლა–შენახვისა სამუშაოები - 550.0 ათასი ლარი
- ზამთრის პერიოდში მუნიციპალიტეტის ტერიტორიის თოვლისგან გაწმენდის სამუშაოები - 250.0 ათასი ლარი
- ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფ. საღამოს ხიდის მშენებლობა - 356.0 ათასი ლარი
- ნინოწმინდის ცენტრალური ხიდის რეაბილიტაცია - 1,000.0 ათასი ლარი
- საექსპერტიზო მომსახურება (02 01 02) – 48.0 ათასი ლარი
- საგზაო ნიშნების შეძენა და მონტაჟი-410.0 ათასი ლარი

- ქალაქის ადგილობრივი გზების ვიდეო მეთვალყურეობის კამერების მონტაჟი, სარკეების შეძენა და მონტაჟი-55.0 ათასი ლარი

✓ **წყლის სისტემების განვითარება - 1,295.5 ათასი ლარი: მათ შორის**

- ქ. ნინოწმინდის (თავისუფლება, პუშკინ, ტერიან, ჰოვსეფიან ქუჩებზე) სანიაღვრე არხების მოწყობა - 1,000.0 ათასი ლარი
- საექსპერტიზო მომსახურება(კანალიზაცია) – 35.0 ათასი ლარი
- სოფ. პატარა ხანჩალის წყალსადენი აუზის რეაბილიტაცია - 10.0 ათასი ლარი
- სოფელი სათხის წყალსადენი სისტემის მშენებლობა - 240.0 ათასი ლარი
- საექსპერტიზო მომსახურება(წყალი) – 10.5 ათასი ლარი

✓ **გარე განათება - 1,490.0 ათასი ლარი;**

ქვეპროგრამა მოიცავს შემდეგ ღონისძიებებს;

- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ქსელში მწყობრიდან გამოსული ნათურების გამოცვლა; ამორტიზებული და დაზიანებული განათების ბოძების შეკეთება, ახლით ჩანაცვლება; დაზიანებული სადენების აღდგენა, შეკეთება - 155.0 ათასი ლარი
- ქ. ნინოწმინდის (პუშკინის , თავისუფლების ჰოვსეფიანის ქუჩებზე) გარე განათების რეაბილიტაცია - 1,000.0 ათასი ლარი
- გარე განათების სისტემის შექმნა და ღამის საათებში მუნიციპალიტეტის ქუჩების და საზოგადოებრივი სივრცეების განათება - 300.0 ათასი ლარი
- საექსპერტიზო მომსახურება - 35.0 ათასი ლარი

✓ **მრავალსართულიანი საცხოვრებელი შენობის და სახურავების რეაბილიტაცია - 465.8 ათასი ლარი;**

ქვეპროგრამა მოიცავს შემდეგ ღონისძიებებს;

- ქ. ნინოწმინდის თავისუფლების #7, ოვსეპიანის #24-ზე მდებარე მრავალსართულიანი შენობების ფასადების რეაბილიტაცია - 170.0 ათასი ლარი
- ქ. ნინოწმინდის თავისუფლების #12 -ზე მდებარე მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაცია - 160.0 ათასი ლარი
- ქ. ნინოწმინდის პუშკინის ქ. #46 მდებარე მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის რეაბილიტაცია - 120.0 ათასი ლარი
- საექსპერტიზო მომსახურება(მრავალსართულიანი) – 15.8 ათასი ლარი

✓ **კეთილმოწყობის ღონისძიებები - 1,223.1 ათასი ლარი;**

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქის იერსახის გაუმჯობესებისათვის საჭირო სამუშაოები, ქალაქის საკუთრებაში არსებული სხვადასხვა შენობების რეაბილიტაცია, საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა, რეაბილიტაცია/ექსპლოატაცია და სხვა ღონისძიებები.

- ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფ. დიდი ხანჩალის საბავშვო ბაღის მშენებლობა - 510.0 ათასი ლარი
- ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფ. ჯიგრაშენის სკვერის მოწყობა - 40.0 ათასი ლარი

- ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფ. ყაურმის რიტუალების სახლის გალესვა - 15.0 ათასი ლარი
- ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფ ყაურმის საბავშვო მოედნის კეთილმოწყობა - 25.0 ათასი ლარი
- ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფ. დიდი არაგიალის საბავშვო მოედნის კეთილმოწყობა - 25.0 ათასი ლარი
- ქ. ნინოწმინდის კ. მარქსის ქუჩის საბავშვო მოედნისთვის სათამაშოების შეძენა - 10.0 ათასი ლარი
- ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფ. ტამბოვკის კულტურის სახლის რეაბილიტაცია - 266.0 ათასი ლარი
- ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფ. დიდი არაგიალის სკვერის კეთილმოწყობა - 10.0 ათასი ლარი
- სოფ. პატარა ხანჩალის სტადიონის განათება/ სკამების შეძენა - 15.0 ათასი ლარი
- სოფ. პატარა ხანჩალის საბავშვო მოედნის მოწყობა - 15.0 ათასი ლარი
- ურნების შეძენა - 150.0 ათასი ლარი
- სოფელი ჟდანოვაკანის სპორტდარბაზის მშენებლობა -60.0 ათასი ლარი
- საექსპერტიზო მომსახურება(02 06 01) – 42.1 ათასი ლარი
- ქ. ნინოწმინდის ხოჯაბეკის უბანში მდებარე რიტუალური სახლის რეაბილიტაცია - 40.0 ათასი ლარ . აღნიშნული პროექტი დაფინანსდება სამოქალაქო ბიუჯეტის პროგრამის ფარგლებში, რომელიც ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში პირველად 2023 წელს დაინერგა.

✓ **საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპორტო მომსახურების შესყიდვა** განსაზღვრილია 250.0 ათასი ლარი.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის მიერ განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოებისთვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის დამზადების ხარჯებისა და ექსპერტიზის ხარჯების ანაზღაურება. ასევე, მოხდება სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობისათვის საჭირო ხარჯების ანაზღაურება.

➢ **დასუფთავება და გარემოს დაცვა განისაზღვრა - 683.7 ათასი ლარი; მათ შორის:**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარემოს დასუფთავება და ნარჩენების გატანა, მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება, უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის დასუფთავება.

✓ დასუფთავება და ნარჩენების გატანა - 637.4 ათასი ლარი

✓ მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება - 46.3 ათასი ლარი

➢ **განათლება - 3,330.0 ათასი ლარი, მათ შორის:**

✓ ნინოწმინდის საბავშვო ბაღების გაერთიანება - 3,330.0 ათასი ლარი

➢ **კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი - 1,774.6 ათასი ლარი მათ შორის:**

- **სპორტის განვითარების ხელშეწყობა - 642.0 ათასი ლარი;**

პროგრამის მიზანია ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია, სხვადასხვა სახის სპორტული ღონისძიებების და აქტივობების ორგანიზება, მასში მონაწილე სპორტსმენებისა და ახალგაზრდების დაჯილდოება, წახალისება ფულადი და ფასიანი საჩუქრებით; სხვადასხვა სპორტულ ღონისძებებზე სპორტსმენებისა და მწვრთნელების ტრანსპორტირაბაში დახმარება, სპორტის სხვადასხვა სახეობების განვითარება, მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩაბმა და მათთვის საწვრთნელი პირობების შექმნა.

- **კულტურის განვითარების ხელშეწყობა - 867.6 ათასი ლარი;**

მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის კულტურული ღონისძიებებით დაინტერესება, მოსწავლე ახალგაზრდების თავისუფალი დროის სწორად ორგანიზება და ტრადიციებისა და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება და განვითარება. კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა.

- **ტელე-რადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა - 80.0 ათასი ლარი**

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის პროგრამით განცხადებებისა და ინფორმაციის გამოქვეყნება პრესაში, ტელევიზიასა და ინტერნეტ პორტალებში, რაც უზრუნველყოფს მოსახლეობისათვის ინფორმაციის მიწოდებას. დაფინანსდება სატელევიზიო გადაცემა .

- **ტრადიციული და კალენდარული დღესასწაულების ღონისძიებები - 75.0 ათასი ლარი**

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ღონისძიებები;

  - სომხური ნამცხვარი "ქადის" ფესტივალი
  - "ძალა ერთობაშია" - საზეიმო ღონისძიებები, მიძღვნილი საქართველოს გაერთიანების დღისადმი(საზეიმო სვლა ქ. ნინოწმინდა, ჰაიოს-ქართლოს პარკის მემორიალთან, ყვავილებით და გვირგვინებით შემკობა, თემატური კონცერტი)
  - დედა ენის - ქართული ენის დღე
  - სვლა სომეხი ხალხის გენოციდის მსხვერპლთა ძეგლთან , ყვავილებით და გვირგვინებით შემკობა
  - საზეიმო სვლა მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა ძეგლთან ქალაქის პარკში, ყვავილებისა და გვირგვინების შემკობა
  - მუზეუმის საერთაშორისო დღე
  - ღონისძიებები მიძღვნილი საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი
  - ღონისძიება ობოლ არასრულწლოვან ბავშვებთან ერთად
  - ვ. ტერიანის პოეზიის ტრადიციული დღეები ს. განძაში
  - 08 აგვისტოს ომში გარდაცვლილი გმირების საპატივცემო ღონისძიება(საზეიმო სვლა ჰაიოს-ქართლოს პარკის მემორიალთან ყვავილებით და გვირგვინებით შემკობა)
  - ღონისძიება თემაზე ,, გმირების დღე"
  - ვიკტორ ჰოვსეფიანის პოეზიის დღე სოფ. ჰეშტიაში
  - " ნინოწმინდაობა" (ქალაქის საზეიმო გაფორმება, სხვადასხვა გამოფენების ორგანიზება, კულტურულ და სპორტულ ღონისძიებებში აქტიერ მონაწილეთა დაჯილდოება, საპატიო სტუმრების გამასპინძლება)
  - შეხვედრა მშობლების გარეშე ბავშვებისა და შშმ პირების მონაწილეობით

- შეხვედრა სკოლის მასწავლებლებთან
- სომხეთში მიწისძვრის შედეგად მსხვერპლთა ხსოვნისადმი ყვავილების დადგმა ქ. ნინოწმინდის სურბ სარგის ეკლესიის ტერიტორიაში არსებულ მემორიალთან

✓ **საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობა - 10.8 ათასი ლარი**

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ღონისძიებები;

- თოვლიანი ფიგურების კონკურს -ფესტივალი "ზღაპრების გმირები თოვლში"
- ღონისძიება მიძღვნილი ვ. ტერიანის დაბადების 141 წლისთავს
- საზეიმო ღონისძიება -მხატვრების ნახატების გამოფენა(გამოფენა ეძღვნება საქართველოს დედის დღეს და ქალთა საერთაშორისო დღეს)
- ცეკვის ფესტივალი(ფესტივალში მონაწილეთა ტრანსპორტირება სოფლებიდან, საუკეთესო მოცეკვავეთა დაჯილდოება სიგელებით და საჩუქრებით)
- ოჯახის საერთაშორისო დღე
- ….(ჩემი სკოლის ისტორია) თემაზე ვიდეორგოლების კონკურსი საჯარო სკოლების მოსწავლეთა შორის
- ღონისძიება თემაზე ,,აირჩიე პროფესია სწორად''
- მუნიციპალური ახალგაზრდული აქცია " ისტორიულ და კულტურულ ძეგლთა გასუფთავებისა და კეთილმოწყობის კვირა"
- შეხვედრა ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდებთან (7 ახალგაზრდა)
- ღონისძიება თემაზე ,, ილია ჭავჭავაძეს პოეზიის დღე''
- საახალწლო და საშობაო ღონისძიებები

✓ **ქალისა და მამაკაცის თანასწორობის ხელშეწყობა - 17.2 ათასი ლარი**

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ღონისძიებები;

- კონკურსის მუნიციპალური ეტაპი ,, საქართველო ჩემი სამშობლოა"
- ქალთა საერთაშორისო დღე; მრავალშვილიან დედებთან შეხვედრა
- მსოფლიო აქცია - დედამიწის დღესთან დაკავშირებით ახალგაზრდებსა და უფროსკლასელებს შორის
- ექთანების საერთაშორისო დღისადმი შეხვედრა
- ოჯახის საერთაშორისო დღისადმი შეხვედრა ახალგაზრდა მშობლებთან
- მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარების მიზნით ბუკლეტების მომზადება
- ბავშვებისთვის გასართობი ღონისძიება
- ეთნოგრაფიული ტურიზმის განვითარების მიზნით ექსკურსიის მოწყობა დუხობორების ისტორიულ მემკვიდრეობაზე
- ახალგაზრდების საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები(მუნიციპალიტეტის სხვადასხვა დარგის წარმატებული ახალგაზრდების შეკრება, მათი წახალისება, ახალგაზრდულ-გასართობი ღონისძიებების ორგანიზება ქ. ნინოწმინდის კულტურის ცენტრში)
- ეთნოგრაფიული ტურიზმის განვითარების მიზნით შემოქმედებითი საღამოს მოწყობა თემაზე: ჯავახეთი ადგილობრივი ხელოვნებისა და ფოტოგრაფების თვალით
- ,,საქართველო ჩემი სამშობლოა" თემაზე კონკურსში გამარჯვებულებისთვის ექსკურსიის ორგანიზება
- ღონისძიება გაეროს კონვენციის ,, ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ "მიღებასთან დაკავშირებით არასამთავრობო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ
- სკოლის აქტივისტების გაცნობა ადგილობრივ ისტორიულ ძეგლებთან
- სოფლების მცხოვრებ ქალთა საერთაშორისო დღისადმი შეხვედრის ორგანიზება
- ეთნოგრაფიული ტურიზმის განვითარების მიზნით სომხური და ქართული ნაციონალური სამზარეულოს ფესტივალი - საუკეთესო ნიმუშების დაჯილდოება სიგელებით, დიპლომებით და საჩუქრებით

- მშვიდობისათვის ქალთა ბრძოლის საერთაშორისო დღის მიძღვნილი კონკურსი ,, არასდროს არ იყოს ომი" თემაზე
- ტოლერანტობის საერთაშორისო დღე- შეხვედრა არასამთავრობო ორგანიზაციებსა და ახალგაზრდებს შორის
- ძალადობის წინააღმდეგ ღონისძიება
- შეხვედრა სხვადასხვა პროფესიის წარმატებულ ქალებთან

✓ **რელიგია - 82.0 ათასი ლარი**

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია მონასტრების ფინანსური მხარდაჭერა მათი გამართული ფუნქციონირებისათვის, ასევე ეკლესია მონასტრებსა და მათ მიმდებარე ტერიტორიებზე მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები.

- **ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 1,996.3 ათასი ლარი, მათ შორის:**

✓ **ჯანდაცვის პროგრამები - 253.8 ათასი ლარი**

- ა(ა)იპ ნინოწმინდის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრი - 253.8 ათასი ლარი (აქედან მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად - 220.0 ათასი ლარი)

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, კერძოდ:

პროგრამის მიხედვით განხორციელდებაა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის დელეგირებული უფლებამოსილობების ფარგლებში მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა, ავადობის აქტიური გამოვლენა და დაავადებების აღმოფხვრის მიზეზთა და რისკფაქტორთა დადგენა.

✓ **სოციალური პროგრამები - 1,742.5 ათასი ლარი**

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. მოიცავს ისეთი პროგრამების განხორციელებას, როგორიცაა

- სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მკურნალობის ხარჯები -950.0 ათასი ლარი;
- ერთჯერადი ფინანსური დახმარება ორმხრივად და ცალმხრივად ობოლ ბავშვთა ოჯახებს და მრავალწევრიან სოციალურად დაუცველ ოჯახებს - 150.0 ათასი ლარი;
- შშმ პირების ფინანსური დახმარება- 90.0 ათასი ლარი;
- საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულ მებრძოლთა ოჯახების სოციალური დახმარება -5.0 ათასი ლარი;

- ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა - 220.0 ათასი ლარი;
- მრავალშვილიანი ოჯახების სოციალური დაცვა - 20.0 ათასი ლარი;
- გაჭირვებული ოჯახებისათვის საწვავის შეძენა - 75.0 ათასი ლარი;
- ერთჯერადი ფინანსური დახმარება გაჭირვებული ოჯახებისათვის - 220.0 ათასი ლარი;
- ვეტერანებისათვის ფინანსური დახმარება -12.5 ათასი ლარი.

○ ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის სოციალურ პროგრამებში დაემატა შემდეგი პუნქტები;

✓ 1 000 (ათასი) ლარზე მეტი ღირებულების ანალიზებისა და გამოკვლევების (ბიოფსია, ძვლის ტვინის გამოკვლევა, პეტ კატე, რაც არ ფინანსდება სახელმწიფოს მხრიდან) ხარჯების 40%-იანი დაფინანსება, სარეიტინგო ქულებისა და შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის გარეშე, მაგრამ არაუმეტეს 1 500 (ათას ხუთასი) ლარისა.

✓ არასრულწლოვან ბავშვებს, რომლებსაც ორივე მშობელი გარდაცვლილი ჰყავთ, გაეწიოთ ყოველთვიური სოციალური დახმარება ერთ არასრულწლოვანზე 100(ასი) ლარის ოდენობით 18 წლის ასაკის შესრულებამდე.

○ შეიცვალა შემდეგი პუნქტი;

✓ ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ, 2026 წელს დაბადებულ პირველ ახალშობილზე გაიცემა ერთჯერადი ფულადი დახმარება 400 (ოთხასი) ლარი, მე-2 ახალშობილზე 450 (ოთხას ორმოცდაათი) ლარი, მე-3 ახალშობილზე 500 (ხუთასი) ლარი და ყოველ მომდევნო ახალშობილზე დაემატება 50 ლარი დაბადების დღიდან ერთი წლის განმავლობაში მომართვისას, თუ ახალშობილის ერთ-ერთი მშობელი რეგისტრირებულია ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.

➢ **მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები - 5,662.2 ათასი ლარი, მათ შორის:**

✓ საკრებულოს დაფინანსება - 1,295.8 ათასი ლარი;

✓ მერია - 4,016.4 ათასი ლარი;

✓ სარეზერვო ფონდი - 350.0 ათასი ლარი;

მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები შემდეგნაირად განისაზღვრება:

/ათასი ლარი/

პროგრამული კოდი	დასახელება	2026 წლის პროექტი
	სულ ჯამი	**24,295.0**
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	5,662.2
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა	5,312.2

პროგრამული კოდი	დასახელება	2026 წლის პროექტი
01 01 01	ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საკრებულო	1,295.8
01 01 02	ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის მერია	4,016.4
01 02	**საერთო დანიშნულების ხარჯები**	**350.0**
01 02 01	სარეზერვო ფონდი	350.0
01 02 04	მგფ-ისა და სხვა ვალდებულებების დაფარვა	
02 00	**ინფრასტრუქტურის განვითარება**	**10,848.2**
02 01	**საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება**	**6,123.8**
02 01 01	გზების მშენებლობის, რეკანსტრუქციის მოვლა-შენახვის ხარჯი	4,254.8
02 01 02	ხიდების რეაბილიტაცია	1,404.0
02 01 03	ქ. ნინოწმინდის შუქნიშნების და ტრაფარეტების დამონტაჟება	410.0
02 01 04	ქ. ნინოწმინდის რადარების მონტაჟი	55.0
02 02	**წყლის სისტემების განვითარება**	**1,295.5**
02 02 01	საკანალიზაციო სისტემების მოწყობა-რეაბილიტაციის ღონისძიებები	1,035.0
02 02 02	სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია	260.5
02 03	**გარე განათება**	**1,490.0**
02 03 01	გარე განათების რეაბილიტაცია	1,335.0
02 03 02	გარე განათების ექპლატაცია	155.0
02 04	**მშენებლობა, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია**	**465.8**
02 04 01	მრავალსართულიანი საცხოვრებელი შენობების და სახურავების რეაბილიტაცია	465.8
02 04 02	ადმინისტრაციული შენობების რეაბილიტაცია და კეთილმოწყობა	
02 06	**კეთილმოწყობის ღონისძიებები**	**1,223.1**
02 06 01	რიტუალების სახლების, კულტურული ობიექტების რეაბილიტაცია და სპორტული დარბაზის მშენებლობა	1,183.1
02 06 02	ქ. ნინოწმინდის ტროტუარების კეთილმოწყობა	
02 06 03	სამოქალაქო ბიუჯეტი	40.0
02 07	**სოფლის მხარდაჭერის პროგრამა**	
02 08	**საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპორტო მომსახურების შესყიდვა**	**250.0**
03 00	**დასუფთავება და გარემოს დაცვა**	**683.7**
03 01	დასუფთავების ღონისძიებები	637.4
03 02	მწვანე ნარგავების მოვლა -პატრონობა განვითარება	46.3
04 00	**განათლება**	**3,330.0**
04 04	ნინოწმინდის საბავშვო ბაღების გაერთიანება	3,330.0
05 00	**კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები**	**1,774.6**
05 01	**სპორტის განვითარების ხელშეწყობა**	**642.0**
05 01 01 01	სპორტული ღონისძიებების დაფინანსება	180.0
05 01 01 02	ა (ა) იპ სკოლისგარეშე საგანმანათლებო დაწესებულება ნინოწმინდის კომპლექსური სასპორტო სკოლა	462.0
05 02	**კულტურის ობიექტის დაფინანსება**	**867.6**
05 02 01 01	ა (ა) იპ-ნინოწმინდის კულტურის ცენტრი	225.5
05 02 01 02	ა (ა) იპ-ნინოწმინდის მთავარი ბიბლიოთეკა	130.6
05 02 01 03	ა (ა) იპ-ნინოწმინდის სკოლისგარეშე აღზრდის დაწესებულება	85.6
05 02 01 04	ა (ა) იპ-ნინოწმინდის სამუსიკო სკოლა	275.0
05 02 01 05	ა (ა) იპ-ნინოწმინდის ვაჰან ტერიანის სახელე-მუზეუმი	52.2

პროგრამული კოდი	დასახელება	2026 წლის პროექტი
05 02 01 06	ა (ა) იპ-ნინოწმინდის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი	43.4
05 02 01 07	ა (ა) იპ-ნინოწმინდის მუნიციპალური გაზეთი არშალუის	55.3
05 03	**ტელე-რადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა**	**80.0**
05 04	**ტრადიციული და კალენდარული დღესაწაულების ღონისძიებები**	75.0
05 05	**საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობა**	10.8
05 06	**ქალისა და მამაკაცის თანასწორობის ხელშეწყობა**	17.2
05 07	**რელიგია**	82.0
06 00	**ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**	**1,996.3**
06 01	**ჯანდაცვის პროგრამები**	**252.6**
06 01 01	ა (ა) იპ-ნინოწმინდის საზოგადოებირვი ჯამრთელობის დაცვის ცენტრი	253.8
06 02 01	ახალი Covid-19 ინფექციის მართვისათვის გასატარებელი ღონისძიებები	
06 02	**სოციალური პროგრამები**	**1,742.5**
06 02 01	სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მკურნალობის ხარჯები	950.0
06 02 02	ერთჯერადი ფინანსური დახმარება ორმხრივად და ცალმხრივად ობოლ ბავშვთა ოჯახებს და მრავალწევრიან სოციალურად დაუცველ ოჯახებს	150.0
06 02 03	შშმ პირების ფინანსური დახმარება	90.0
06 02 04	საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულ მებრძოლთა ოჯახების სოციალური დახმარება	5.0
06 02 05	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	220.0
06 02 06	მრავალშვილიანი ოჯახების სოციალური დაცვა	20.0
06 02 07	გაჭირვებული ოჯახებისათვის საწვავის შეძენა	75.0
06 02 08	ერთჯერადი ფინანსური დახმარება გაჭირვებული ოჯახებისათვის	220.0
06 02 09	ვეტერანებისათვის ფინანსური დახმარება	12.5

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში

- *საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება - 5,912.2 ათასი ლარი;*
- *ეკონომიკური საქმიანობა - 6,123.8 ათასი ლარი;*
- *გარემოს დაცვა - 1,718.7 ათასი ლარი;*
- *საბინაო-კომუნალური მეურნეობა - 3,439.4ათასი ლარი;*
- *ჯანმრთელობის დაცვა - 253.8 ათასი ლარი;*
- *დასვენება, კულტურა, რელიგია - 1,774.6 ათასი ლარი*
- *განათლება - 3,330.0 ათასი ლარი;*
- *სოციალური დაცვა - 1,742.5 ათასი ლარი;*

დადგენილების ინიციატორი

მუნიციპალიტეტის მერი

დადგენილების ავტორი
მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური